

სიღარიბე და მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის მნიშვნელოვანი ასპექტები

ვირსალაძე ნაირა - ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დეპარტამენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო

ყიფიანი მალვინა - ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დეპარტამენტი, ქუთაისის უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო

Poverty and important aspects of the social status of the population

Virsaladze Naira - Associate Professor, Department of Economics, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia

Kipiani Malvina - Associate Professor, Department of Economics, Kutaisi University, Kutaisi, Georgia

Abstract

Introduction and aim: The COVID-19 pandemic has once again reminded humanity of the insoluble problems of the modern world: unemployment, poverty, inequality, illness, illiteracy. Each of them manifests itself strongly during global surprises and cataclysms. It is a pity that there are still poor, needy, deprived people around, quite a lot of families, social groups on the brink of poverty, and even more, regions, countries for which the pandemic has been a death sentence. COVID-19 has caused the biggest drop in economic and social activity, worse than the 2008 global crisis. Economic distress and financial crisis, characterized primarily by job losses, inflationary processes, and worsening living conditions, are theoretically manageable. For a certain period of time, by regulating the management of the economy, with the help of government reforms and various mechanisms, it is possible to ease, stop and even stabilize it. Unfortunately, the economic shock that has come with the current pandemic is difficult to manage. The losses from it spread to all areas of the economy. As a result of the bans, due to international relations, it took on a systemic character and covered huge scales. The pandemic "killed" and threw not only large and large economic entities into the worst conditions, but it turned out to be a devastating blow to micro, small and medium-sized enterprises, hotels and restaurants, cafes and bars, fast food establishments, and all sectors of the service sector. On the other hand, in the background of the developed events, the role and importance of a number of fields and sectors (medicine, pharmaceutical companies, pharmacy chains, online learning and trade, remote services, trucking, etc.) have increased even more. Accordingly, in order to mobilize all reserves and resources, the search for the golden middle ground between human health and the management of economic processes was started precisely to meet the increased scale of the aforementioned demand. Obviously, the scales were tipped in favor of saving people. Coercive regulations resulted in stagnant economic life and a maximum drop in active economic activity. This process turned out to be especially painful for that part of the population, who were considered poor even in the active economy and were satisfied with the minimum consumer basket.

We would like to express some opinions about the mentioned problems, which, in our opinion, are one of the most important and painful topics for one and not a small part of the population of Georgia.

Research methodology: The methods of analysis, synthesis and economic-statistical analysis were used during the research.

Results and implications: In the wake of COVID-19, poverty has emerged as one of the world's major problems. With the economic shock, the living standards have become more difficult and difficult to manage, to overcome the poverty level of the population of Georgia, a multi-faceted, targeted research and a relevant long-term government program is needed, which primarily considers the problem of employment of the population in the real and active economic sector. The Covid pandemic has made even more acutely and clearly visible not only the issue of employment related to the workforce, but also the shortage of qualified staff and the "modest" attitude towards demanding professions. It is a fact that the Georgian labor market cannot respond quickly and adequately to the professions and specialties in demand. There has not yet been a "reboot" to train a skilled workforce with modern teaching skills and habits. Higher education, vocational schools and their real employers still work in isolation. Unfortunately, the goals and objectives of both parties are often missed.

Reduction of unemployment should first of all be associated with increase in welfare of the population. Unfortunately, today, not only those who do not and cannot work, but also those who receive low wages are

vulnerable. The inflation process, which is global and not so easy to solve, „ate“ Georgia's economic growth (VI. Papava, 2021). The average salary level in the country is so low that the income does not reach even the elementary tariff payments, it is unnecessary to talk about a decent life. The solution is not to help the socially vulnerable. The solution lies in a decent life and access to employment, occupations, training and retraining for people. Until this becomes real and possible, employment will always be the primary problem for the population of Georgia. A problem that attracts like a magnet a rather wide list of accompanying social problems.

In order to overcome poverty and create jobs, the „Employment Program for the Socially Vulnerable“, initiated by the Government of Georgia, which came into force in the spring of this year and is aimed at the employment of able-bodied people receiving social benefits by creating public jobs, raises a lot of questions. How correct and justified this mechanism will be, it is difficult to say. The proposed jobs do not include the real and active economic sector (actually, depending on the content of the program, this is an increase in the amount of allowance and assistance. And if there were means and resources for this, we were given this amount by increasing the allowance). It would be more correct to think about creating real jobs in the real economic sector and solve the problem in this direction.

Poverty and social inequality are much higher in rural areas. This is where the state should say the decisive word and consider it its primary duty to stand by the people living in rural areas and provide them with real help. For the poor and disadvantaged, measuring and counting their living conditions in terms of generalized indicators is of no use. The problem needs a full-fledged study and the implementation of specific social mechanisms, starting with living conditions and real improvement of living environment and incomes. We also want to touch on issues related to land, its purposeful and rational use from the point of view of national food security. This issue has always had a special role for Georgia. The problems that have arisen in the recent period show once again that any issue related to land should be resolved on the basis of a full assessment of existing or expected events.

Large-scale projects should be implemented with great care, with the national interests of the country taking precedence, especially when it concerns such national wealth as land. „Georgian mentality cannot adapt to the market principles of alienating land to a foreigner.

Conclusion: It is impossible for the country to achieve significant economic growth and transformation without the joint efforts of experienced, professional and learned scientists, experts and specialists and using the existing scientific potential. In fact, the word of professionals is seen only through mass media. Unfortunately, no one is interested in their knowledge, experience, opinion when solving a real case. This is one of the most important and retrogressive realities, which unfortunately has been sacrificing Georgia's political will for decades. Implementation of any economic reforms and serious transformations are mostly replaced by programs and decisions turned into election campaigns. The reality is much more serious and extensive, people need real help. The country needs a multifaceted, targeted and long-term government program for poverty alleviation. While an average of 21.3% of the population of Georgia is struggling with poverty (27.5% in rural areas), it is awkward to talk about successful active agricultural activities in the country, economic growth and raising the well-being of the population.

Keywords: pandemic, poverty, unemployment, government program

აბსტრაქტი

შესავალი და მიზანი: COVID-19 -ის პანდემიამ კაცობრიობას კიდევ ერთხელ შეახსენა თანამედროვე მსოფლიოში არსებული გადაუჭრელი პრობლემები: უმუშევრობა, სიღარიბე, უთანასწორობა, ავადმყოფობა, უწიგნურობა. თითოეული მათგანი მძაფრად იჩენს თავს გლობალური მოულოდნელობებისა და კატაკლიზმების დროს. სამწუხაროა, რომ ირგვლივ ისევ არიან ღარიბები, უპოვარნი, შემწეობას მოკლებული ადამიანები, სიდატაკის პირზე მისული საკმაოდ ბევრი ოჯახი, სოციალური ჯგუფი და უფრო მეტიც, რეგიონები, ქვეყნები, რომელთაც პანდემია სასიკვდილო განაჩენად მოევილინა. COVID-19-მა ეკონომიკურ და სოციალურ აქტივობაში ყველაზე დიდი ვარდნა გამოიწვია, რასაც 2008 წლის გლობალურ კრიზისზე უარესი შედეგი მოჰყვა. ეკონომიკური სიღუპი და ფინანსური კრიზისი, რომელიც პირველ რიგში სამუშაო ადგილების შემცირებით, ინფლა-ციური პროცესებითა და ცხოვრების დონის პირობების დამძიმებით ხასიათდება, თეორიულად მართვადია. გარკვეული დროის მანძილზე ეკონომიკის მართვის რეგულირებით, სამთავრობო რეფორმებისა და სხვადასხვა მექანიზმების დახმარებით შესაძლებელია შემსუბუქდეს, შეჩერდეს და უფრო მეტიც, დასტაბილურდეს კიდევ. სამწუხაროდ, ეკონომიკური შოკი, რომელიც თან მოჰყვა არსებულ პანდემიას, რთულად სამართავია. მისგან მიღებული ზარალი მოედო ეკონომიკის ყველა სფეროს. აკრძალვების შედეგად საერთაშორისო ურთიერთობების გამო სისტემური ხასიათი მიიღო და უზარმაზარი მასშტაბები მოიცვა. პანდემიამ "იმსხვერპლა" და უმძიმეს პირობებში ჩააგდო არა მარტო დიდი და მსხვილი ეკონომიკური სუბიექტები,

არამედ იგი დამანგრეველი დარტყმა აღმოჩნდა მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების, სასტუმროებისა და რესტორნების, კაფე-ბარების, სწრაფი კვების ობიექტების, მომსახურების სფეროს ყველა სექტორისათვის. მეორე მხრივ კი, განვითარებული მოვლენების ფონზე, კიდევ უფრო გაიზარდა მთელი რიგი დარგებისა და სექტორების როლი და მნიშვნელობა (მედიცინა, ფარმაცევტული კომპანიები, სააფთიაქო ქსელები, ონლაინ სწავლება და ვაჭრობა, დისტანციური სამსახურები, სატვირთო გადაზიდვები და სხვა). შესაბამისად, ყველა რეზერვისა და რესურსის მობილიზების მიზნით, სწორედ აღნიშნული მოთხოვნილების გაზრდილი მასშტაბების დაკმაყოფილებისათვის დაიწყო ოქროს შუალედის ძებნა ადამიანის ჯანმრთელობასა და ეკონომიკური პროცესების მართვას შორის. ცხადია, სასწორი ადამიანების გადარჩენისათვის გადაიხარა. იძულებით რეგულაციებს მოჰყვა გაჩერებული სამეურნეო ცხოვრება და აქტიური ეკონომიკური საქმიანობის მაქსიმალური ვარდნა. ეს პროცესი განსაკუთრებით მტკივნეული აღმოჩნდა მოსახლეობის იმ ნაწილისათვის, რომლებიც აქტიური ეკონომიკის პირობებშიც ღარიბებად ითვლებოდნენ და მინიმალური სამომხმარებლო კალათით კმაყოფილდებოდნენ.

სწორედ აღნიშნული პრობლემების შესახებ გვინდა გამოვთქვათ რამდენიმე მოსაზრება, რომელიც ჩვენი აზრით, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს და მტკივნეულ თემას წარმოადგენს საქართველოს მოსახლეობის ერთი და არც თუ მცირე ნაწილისათვის.

კვლევის მეთოდოლოგია: კვლევის დროს გამოყენებულია ანალიზის, სინთეზის და ეკონომიკურ-სტატისტიკური ანალიზის მეთოდები.

შედეგები და გამოყენება: COVID-19-ის ფონზე მძაფრად იჩინა თავი სიღარიბემ, როგორც მსოფლიოში არსებულმა ერთ-ერთმა მთავარმა პრობლემამ. ეკონომიკური შოკით კიდევ უფრო დამძიმებული და გაუარესებული ცხოვრების დონე სამართავად რთული გახდა, საქართველოს მოსახლეობის სიღარიბის დონის დასაძლევად საჭიროა მრავალმხრივი, მიზანმიმართული კვლევა და შესაბამის გრძელვადიან პერიოდზე გათვლილ სამთავრობო პროგრამა, რომელიც უპირველესად მოსახლეობის დასაქმების პრობლემას განიხილავს რეალურ და აქტიურ ეკონომიკურ სექტორში. კოვიდ პანდემიამ კიდევ უფრო მძაფრად და აშკარად წარმოაჩინა სამუშაო ძალასთან დაკავშირებული არა მარტო დასაქმების საკითხი, არამედ კვალიფიციური კადრების უკმარისობა და მოთხოვნადი პროფესიებისადმი „მოკრძალებული“ დამოკიდებულება. ფაქტია, რომ ქართული შრომის ბაზარი სწრაფ და ადეკვატურ რეაგირებას ვერ აკეთებს მოთხოვნადი პროფესიებისა და სპეციალობების მიმართ. ჯერ კიდევ "გადატვირთვა" ვერ მოხდა სწავლების თანამედროვე უნარებისა და ჩვევების მქონე კვალიფიციური სამუშაო ძალის მოსამზადებლად. ჯერ კიდევ იზოლირებულად მუშაობს უმაღლესი საგანმანათლებლო, პროფესიული სასწავლებლები და მათი რეალური დამსაქმებლები. სამწუხაროდ, ხშირად აცდენილია ორივე მხარის მიზნები და ამოცანები.

უმუშევრობის შემცირება პირველ რიგში მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებასთან უნდა ასოცირდებოდეს. სამწუხაროდ, დღეს დაუცველია არა მარტო ის, ვინც არ და ვერ მუშაობს, არამედ ისიც, ვინც დაბალ ანაზღაურებას იღებს. ინფლაციის პროცესმა, რომელიც გლობალურია და არც ისე ადვილი გადასაჭრელია, „შეჭამა“ საქართველოს ეკონომიკური ზრდა (ვლ.პაპავა, 2021). იმდენად დაბალია ქვეყანაში საშუალო ხელფასის დონე, რომ შემოსავალი ელემენტარულ სატარიფო გადასახადებსაც ვერ წვდება, ღირსეულ ცხოვრებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. გამოსავალი არ არის სოციალურად დაუცველების დახმარება. გამოსავალი ღირსეულ ცხოვრებაში და ადამიანებისათვის დასაქმების, პროფესიების ათვისების, მომზადებისა და გადამზადების ხელმისაწვდომობაშია. სანამ ეს რეალური და შესაძლებელი არ გახდება, მანამ დასაქმება ყოველთვის იქნება უპირველესი პრობლემა საქართველოს მოსახლეობისათვის. პრობლემა, რომელიც მაგნიტივით იზიდავს თანმხლებ სოციალურ ყოფით პრობლემათა საკმაოდ ფართო ჩამონათვალს.

სიღარიბის დაძლევისა და სამუშაო ადგილების შექმნის მიზნით საქართველოს მთავრობის ინიციატივით დაწყებული „სოციალურად დაუცველების დასაქმების პროგრამა“, რომელიც მიმდინარე წლის გაზაფხულიდან შევიდა ძალაში და მიმართულია სოციალური შემწეობის მიმღები შრომისუნარიანი პირების დასაქმებაზე საზოგადოებრივი სამუშაო ადგილების შექმნით, საკმაოდ ბევრ კითხვას აჩენს. თუ რამდენად გამართული და გამართლებული იქნება ეს მექანიზმი, მნელი სათქმელია. შემოთავაზებული სამუშაო ადგილები რეალურ და აქტიურ ეკონომიკურ სექტორს არ მოიცავს (ფაქტიურად, პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე, ეს არის შემწეობის და დახმარების თანხის გაზრდა. და თუ ამის საშუალება და რესურსი არსებობდა, შემწეობის გაზრდით მიგვეცა ეს თანხა). უფრო სწორი იქნებოდა რეალურ ეკონომიკურ სექტორში რეალური სამუშაო ადგილების შექმნაზე გვეფიქრა და ამ მიმართულებით გადაგვეჭრა პრობლემა.

სიღარიბე და სოციალური უთანასწორობა გაცილებით მაღალია სოფლად. სწორედ აქ უნდა თქვას სახელმწიფომ გადამწყვეტი სიტყვა და თავის უპირველეს მოვალეობად მიიჩნიოს სოფლად მცხოვრები ადამიანების

გვერდით დგომა და მათი რეალური დახმარება. ღარიბი და შემწეობას მოკლებული ადამიანებისთვის არაფრის მომცემი არაა განზოგადებული მაჩვენებლების მიხედვით მათი ცხოვრების პირობების გაზომვა და დათვლა. პრობლემას ჭირდება სრულფასოვანი შესწავლა და სწორედ მორგებული კონკრეტული სოციალური მექანიზმების განხორციელება, საცხოვრებელი პირობებიდან დაწყებული საარსებო გარემოსა და შემოსავლების რეალური გაუმჯობესებით. ასევე გვინდა შევხვით მიწასთან დაკავშირებულ საკითხებს, მის მიზანმიმართულ და რაციონალურ გამოყენებას ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების თვალსაზრისით. საქართველოსთვის ამ საკითხს ოდითგანვე განსაკუთრებული როლი ჰქონდა მინიჭებული. ბოლო პერიოდში წარმოქმნილი პრობლემები კიდევ ერთხელ მეტყველებს იმაზე, რომ მიწასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტა უნდა მოხდეს არსებული, თუ მოსალოდნელი მოვლენების სრულფასოვანი შეფასების საფუძველზე.

დასკვნა: წარმოდგენილია ქვეყანამ მნიშვნელოვან ეკონომიკურ აღმავლობასა და გარდაქმნას მიაღწიოს გამოცდილი, პროფესიონალი და სწავლული მეცნიერების, ექსპერტებისა და სპეციალისტების ერთობლივი ძალისხმევით და არსებული სამეცნიერო პოტენციალის გამოყენების გარეშე. სინამდვილეში პროფესიონალთა სიტყვა მხოლოდ მასმედიის საშუალებებით ჩანს. სამწუხაროდ, რეალური საქმის გადაწყვეტისას მათი ცოდნა, გამოცდილება, მოსაზრება არავის არ აინტერესებს. ეს არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და უკან დამხვევი რეალობა, რომელიც სამწუხაროდ უკვე ათეული წლებია ეწირება საქართველოს პოლიტიკურ ნებას. ნებისმიერი ეკონომიკური რეფორმის გატარებას და სერიოზულ გარდაქმნებს უმეტესად, საარჩევნო კამპანიებად ქცეული პროგრამები და გადაწყვეტილებები ენაცვლებიან. რეალობა კი გაცილებით უფრო მძიმე და მასშტაბურია, ადამიანებს რეალური დახმარება ჭირდებათ.

საკვანძო სიტყვები: პანდემია, სიღარიბე, უმუშევრობა, სამთავრობო პროგრამა

COVID-19 -ის პანდემიამ კაცობრიობას კიდევ ერთხელ შეახსენა თანამედროვე მსოფლიოში არსებული გადაუჭრელი პრობლემები: უმუშევრობა, სიღარიბე, უთანასწორობა, ავადმყოფობა, უწიგნურობა (ჭითანავა, 2020). თითოეული მათგანი მძაფრად იჩენს თავს გლობალური მოულოდნელობებისა და კატაკლიზმების დროს. სამწუხაროა, რომ ირგვლივ ისევ არიან ღარიბები, უპოვარნი, შემწეობას მოკლებული ადამიანები, სიღატაკის პირზე მისული საკმაოდ ბევრი ოჯახი, სოციალური ჯგუფი და უფრო მეტიც, რეგიონები, ქვეყნები, რომელთაც პანდემია სასიკვდილო განაჩენად მოეკლინა. COVID-19-მა ეკონომიკურ და სოციალურ აქტივობაში ყველაზე დიდი ვარდნა გამოიწვია, რასაც 2008 წლის გლობალურ კრიზისზე უარესი შედეგი მოჰყვა. ეკონომიკური სიდუხჭირე და ფინანსური კრიზისი, რომელიც პირველ რიგში სამუშაო ადგილების შემცირებით, ინფლაციური პროცესებითა და ცხოვრების დონის პირობების დამძიმებით ხასიათდება, თეორიულად მართავდია. გარკვეული დროის მანძილზე ეკონომიკის მართვის რეგულირებით, სამთავრობო რეფორმებისა და სხვადასხვა მექანიზმების დახმარებით შესაძლებელია შემსუბუქდეს, შეჩერდეს და უფრო მეტიც, დასტაბილურდეს კიდევ. სამწუხაროდ, ეკონომიკური შოკი, რომელიც თან მოჰყვა არსებულ პანდემიას, რთულად სამართავია. მისგან მიღებული ზარალი მოედო ეკონომიკის ყველა სფეროს. აკრძალვების შედეგად საერთაშორისო ურთიერთობების გამო სისტემური ხასიათი მიიღო და უზარმაზარი მასშტაბები მოიცვა. პანდემიამ „იმსხვერპლა“ და უმძიმეს პირობებში ჩააგდო არა მარტო დიდი და მსხვილი ეკონომიკური სუბიექტები, არამედ იგი დამანგრეველი დარტყმა აღმოჩნდა მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების, სასტუმროებისა და რესტორნების, კაფე-ბარების, სწრაფი კვების ობიექტების, მომსახურების სფეროს ყველა სექტორისათვის. მეორე მხრივ კი, განვითარებული მოვლენების ფონზე, კიდევ უფრო გაიზარდა მთელი რიგი დარგებისა და სექტორების როლი და მნიშვნე-

ნელობა (მედიცინა, ფარმაცევტული კომპანიები, სააფთიაქო ქსელები, ონლაინ სწავლება და ვაჭრობა, დისტანციური სამსახურები, სატვირთო გადაზიდვები და სხვა). შესაბამისად, ყველა რეზერვისა და რესურსის მობილიზების მიზნით, სწორედ აღნიშნული მოთხოვნილებების გაზრდილი მასშტაბების დაკმაყოფილებისათვის დაიწყო ოქროს შუალედის ძებნა ადამიანის ჯანმრთელობასა და ეკონომიკური პროცესების მართვას შორის. ცხადია, სასწორი ადამიანების გადარჩენისათვის გადაიხარა. იძულებით რეგულაციებს მოჰყვა გაჩერებული სამეურნეო ცხოვრება და აქტიური ეკონომიკური საქმიანობის მაქსიმალური ვარდნა. ეს პროცესი განსაკუთრებით მტკივნეული აღმოჩნდა მოსახლეობის იმ ნაწილისათვის, რომლებიც აქტიური ეკონომიკის პირობებშიც ღარიბებად ითვლებოდნენ და მინიმალური სამომხმარებლო კალათით კმაყოფილდებოდნენ.

სწორედ აღნიშნული პრობლემების შესახებ გვინდა გამოვთქვათ რამდენიმე მოსაზრება, რომელიც ჩვენი აზრით, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს და მტკივნეულ თემას წარმოადგენს საქართველოს მოსახლეობის ერთი და არც თუ მცირე ნაწილისათვის.

აღსანიშნავია, რომ 2020 წლის გაზაფხულზე ამოქმედებულმა ანტიკრიზისულმა სამთავრობო პროგრამამ, ერთი მხრივ, გარკვეულწილად შეანელა სიღარიბის დონის ზრდა, (განსაკუთრებულად დაბალი შემოსავლების მქონე მოსახლეობაში), რადგან სულ მცირე დახმარებაც კი დადებითად აისახა მათ მდგომარეობაზე. მეორე მხრივ კი იგი ნაკლებ ეფექტური აღმოჩნდა უმუშევრობის შემცირების თვალსაზრისით, ვინაიდან პანდემიის პრევენციასთან დაკავშირებულმა შეზღუდვებმა შეანელა ეკონომიკური ზრდა და კიდევ უფრო გაზარდა უმუშევართა ტალღა. შედეგად, შემცირდა მოსახლეობის შემოსავლები და კიდევ უფრო გაუარესდა ცხოვრების დონე. საქსტატის ეროვნული სამსახურის 2020 წლის მონაცემებით საქართველოში სიღარიბის დონის მაჩვენებელი 21,3 % -მდე გაიზარდა (ქალაქსა და სოფელში შესაბამისად 17,1 და 27,5) და 2019 წლის მაჩვენებელს 1,7 პუნქტით გადააჭარბა. სიღარიბის მაღალი მაჩვენებლები დაფიქსირდა შიდა და ქვემო ქართლში (24, 5 და 29,1), აჭარასა და მცხეთა მთიანეთში (23,5 და 28,6), გურიაში 34,2. შედარებით დაბალი მაჩვენებელია თბილისში, სამცხე ჯავახეთში, რაჭა ლეჩხუმსა და სვანეთში, იმერეთში (13,9; 12,9; 15,3 და 20,9).

ცხოვრების პირობების გაუარესება და სიღარიბის ზრდა მკვეთრად აისახება მოსახლეობის ფსიქოლოგიურ და მორალურ ასპექტებზე (ოჯახური ძალადობა, ბავშვების, არასრულწლოვანებისა და ახალგაზრდა თაობის ადამიანების გახშირებული სუიციდის მცდელობები, შემთხვევები...), რაც სამწუხაროდ ძალიან გახშირდა უკანასკნელ წლებში.

ნებისმიერი საზოგადოების დროსა და სივრცეში განვითარებისა და კეთილდღეობის ძირითადი დეტერმინანტი ეკონომიკაა. ეკონომიკური საქმიანობის საბოლოო შედეგების დასახასიათებლად მთელი რიგი მაჩვენებლები გამოიყენება. სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპლექსური მაჩვენებელია “ჰუმანური განვითარების ინდექსი (ჰგი)”, რომლის მთავარი ამოცანაა განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით შეაფასოს მოცემული ქვეყნის ადამიანური განვითარების დონე. ეს ინდექსი ყურადღებას ამახვილებს ადამიანის ჰუმანურ განვითარებაზე - ადამიანთა შემოსავლების ზრდის, დასაქმების, განათლების მიღებისათვის უკეთესი პირობების შექმნის, ჯანდაცვის და ა. შ. შესაძლებლობების ზრდის პროცესზე. 2020 წლის ბოლოს ამ ინდექსის მიხედვით საქართველოს მსოფლიოში 61-ე ადგილი ეჭირა 0,812 ქულით, რაც ადამიანის განვითარების უმაღლესი დონის შესაბამისია (ფიცი მწამს და ბოლო მაკვირვებს, როდესაც ქვეყანაში

ამდენი უმუშევარი და ღარიბია, ჩვენისთანა სტატუსის მქონე ქვეყნისათვის, საინტერესოა ეს მაჩვენებელი, რამდენად ზუსტად და რეალურად ასახავს ჩვენს ქვეყანაში ადამიანური განვითარების შესაძლებლობებს).

გამომდინარე იქედან, რომ ჰუმანური განვითარების ინდექსი ყურადღებას ამახვილებს უშუალოდ ადამიანის, როგორც ინდივიდის განვითარებაზე და ის მნიშვნელოვნად არ ეხება უთანასწორობას, სიღარიბეს, ადამიანის უსაფრთხოებას და სხვა მსგავს საკითხებს, ქვეყნის ეკონომიკური საქმიანობის საბოლოო შედეგების დახასიათების მიზნით უმეტესად გამოიყენებენ მთლიან შიდა პროდუქტის მაჩვენებელს, რომელიც ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე წლის განმავლობაში შექმნილი საქონელისა და მომსახურების საბაზრო ღირებულებაა, რომელიც გამოიყენება საბოლოო მოხმარების, დაგროვების და ექსპორტისათვის. მართალია მშპ-დან გამორიცხულია შუალედური მოხმარება, მაგრამ ის მოიცავს ძირითადი კაპიტალის მოხმარებას, რის გამოც მთლად რეალურად ვერ ასახავს მოხმარებას ერთ სულ მოსახლეზე (ბუნებრივია, წარმოების პროცესის მოხმარებული ძირითადი კაპიტალის გამორიცხვით შესაძლებელი იქნებოდა ეკონომიკური საქმიანობის შედეგების უფრო ზუსტი მაჩვენებლის მიღება, თუმცა პრაქტიკული სიძნელეების გამო ეს ვერ ხერხდება და სტატისტიკოსები იძულებული არიან გამოიყენონ მშპ¹.

ჯერ კიდევ პანდემიამდე იყო ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა „გადარჩენაზე ორიენტირებული ეკონომიკა“ (ლ.პაპავა,2019), რადგან არ იზრდებოდა რეალურ ეკონომიკურ სექტორში შექმნილი პროდუქცია სამუშაო ადგილების არ არსებობის გამო. ქვეყანაში, სადაც მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი (48-49 %) სოფლად ცხოვრობს, ხოლო სოფლის პროდუქციის წილი მთლიან სამამულო პროდუქტში მხოლოდ 8-9 %-ით არის წარმოდგენილი, ნიშნავს იმას, რომ თვითდასაქმებულთა შრომის მწარმოებლურობა და შემოსავლიანობის მაჩვენებელი ძალზე დაბალია. დაბალი შემოსავლების გამო სოფლად მცხოვრები ადამიანების უმეტესი ნაწილი იმყოფება სიღარიბის ზღვარზე ან ზღვარს ქვემოთ.

სიღარიბეს იწვევს ეკონომიკური ზრდის შემცირება, რასაც თან ახლავს ინფლაცია, ფასების მატება სურსათზე, ჯანდაცვაზე, ტრანსპორტზე, ნავთობპროდუქტებზე. ასეთი პროცესები განსაკუთრებით ნეგატიურად აისახება დაბალშემოსავლიან ოჯახებზე. ეროვნული ვალუტის ინფლაციის შედეგად ძვირდება იმპორტირებული საქონელი, შესაბამისად, ნომინალური შემოსავლის ზრდა ვერ უზრუნველყოფს რეალური შემოსავლის ზრდას სამომხმარებლო ფასების მუდმივი ზრდის ფონზე, რაც კიდევ უფრო აღრმავებს სიღარიბის მაჩვენებელს. მთავრობის გადაწყვეტილების მიუხედავად

¹ ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა ქართველი მეცნიერ ეკონომისტების და მკვლევარების, კერძოდ ლადო პაპავას და ავთანდილ სილაგამის მოსაზრება. მათი აზრით, პრველ რიგში, უნდა მოხდეს თვით ტერმინის ქართული შინაარსის სწორი ფორმულირება და დამკვიდრება („**მთლიანი სამამული პროდუქტი**“, **GDR- Gross Domestic Product**). მეორეც, „მთლიანი სამამული პროდუქტი“ არ არის ყოვლისმომცველი, ზუსტი განზოგადებული მაჩვენებელი და ლადო პაპავას მაგალითად მოჰყავს ამ მაჩვენებლის მიმართ ჩატარებული ერთ-ერთი კვლევის ავტორის, ნობელის პრემიის ლაურეატის ჯოზეფ სტიგლიცის მოსაზრება იმის შესახებ, რომ მთლიანი სამამული პროდუქტის ზრდას იწვევს მომსახურების სფეროს მთელი რიგი დარგებისა და სექტორების მაჩვენებელთა ზრდა, რომელსაც საერთოდ არაფერი კავშირი არა აქვს ადამიანის კეთილდღეობის ზრდასთან. თუმცა, უნდა ითქვას, რომ სხვა უფრო განზოგადებული მაჩვენებელი დღემდე არ შექმნილა და სწორედ ეს არის მიზეზი იმისა, რომ მიუხედავად საფინანსო-საბანკო სექტორის, მომსახურების სფეროს - რესტორნებისა და სასტუმროების ზრდისა (სადაც უმეტეს წილად ისევ იმპორტირებული საქონლით - პროდუქტებით მომსახურება ხდება), მოსახლეობა ვერ გრძნობს ეკონომიკურ ზრდას, რადგან განუვითარებელი რჩება ეკონომიკის რეალური სექტორი.

ბავშვზე 10 ლარიანი დახმარების 50 ლარამდე გაზრდამ (2019 წლის 1 იანვრიდან), გარკვეულწილად გაზარდა შინამეურნეობების შემოსავალი და შეამცირა ბავშვთა სიღარიბე, მაგრამ არსებითად ვერ შეცვალა სიღარიბის საერთო მაჩვენებელი. ერთჯერადი დახმარებები, პოპულისტური, მოკლევადიანი პროგრამები და პროექტები, ცხადია, მნიშვნელოვან გავლენას ვერ მოახდენს სიღარიბეზე და ცხოვრების დონის გაუმჯობესებაზე. საკითხის გადაჭრის მიზნით მნიშვნელოვანია გრძელვადიან პერსპექტივაში ორიენტაცია ავიღოთ სამუშაო ადგილების შექმნასა და მოსახლეობის მაქსიმალურ დასაქმებაზე, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებულ შემოსავლებს. წინააღმდეგ შემთხვევაში ისევ და ისევ მივიღებთ სიღარიბის დონის ზრდას.

უმუშევრობის ზრდა ქვეყნის დაბალი ეკონომიკური განვითარების მაჩვენებელია. ის პირდაპირ აისახება მოსახლეობის შემოსავლებსა და მის კეთილდღეობაზე. ხოლო თუ ამ პროცესმა დროის დიდ მონაკვეთში მასიური, ქრონიკული ფორმა მიიღო და უმუშევრობის „ტალღაში“ გადაიზარდა, ქვეყნის ერთ-ერთ უმწვავეს პრობლემად იქცევა.

საქართველოში უმუშევრობის მაჩვენებელი საშუალოდ 22 პროცენტია (სოფლად რეალურად გაცილებით უფრო მაღალი), რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველი მე-5 ეკონომიკურად აქტიური ადამიანი სამუშაოს გარეშეა და თუ ოუკენის კანონსაც გავიხსენებთ (უმუშევრობის ბუნებრივი ნორმის (6%) ზევით, ყოველი 1%-ით მეტობის შემთხვევაში 2,5%-ით მცირდება მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა), ადვილი წარმოსადგენია, გაზრდილი უმუშევრობის ხარჯზე როგორ მცირდება ქვეყანაში შექმნილი მატერიალური დოვლათისა და მომსახურების ღირებულება, რაც ერთი მხრივ მძიმე ტვირთად აწევს ქვეყნის ეკონომიკას და, მეორე მხრივ, დაბლა სწევს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის ცხოვრების დონეს და ხარისხს. არსებული სიტუაციიდან გამომდინარე ქვეყნის რეალურ ეკონომიკურ სექტორში სამუშაო ადგილების შექმნა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა.

დასაქმებასთან დაკავშირებული პრობლემის განხილვა ცალსახად, არასაკმარისი სამუშაო ადგილების და შესაბამისად მატერიალური დოვლათის ვერ შექმნის „მშრალ“ ციფრებში ასახვით, მარტო ოფიციალურ ინფორმაციად არ აღიქმება. სწორედ ამ ინფორმაციის კვალდაკვალ, მის თანხლებად იზრდება მოსახლეობის მთელი რიგი სოციალური პრობლემები: სიღარიბის ზღვარზე მყოფი ადამიანების მძიმე ფსიქიკური მდგომარეობისა და მუდმივი სტრესის გამო ხდება ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება; იზრდება ალკოჰოლზე, ნარკოტიკსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება. შედეგად სახეზეა, როგორც ფინანსურად, ისე მორალურად განადგურებული ათასობით ოჯახი.

დასაქმების არასასურველ სურათს მეცნიერები, ექსპერტები და სწავლული ეკონომისტები არა მარტო ფართო მსჯელობისა და განხილვის საკითხად, არამედ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს და ღირებულ გამოწვევად მიიჩნევენ. უფრო მეტიც, „სხვადასხვა ორგანიზაციათა კვლევების მიხედვით, დიდი ხანია, პირველ ადგილზე უმუშევრობაა, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხი კი უკან ინაცვლებს..., რადგან მოსახლეობის დიდი ნაწილი ყოველდღიური სარჩო - საბადებლის შოვნის პრობლემის წინაშე დგას...ეს დიდი გამოწვევაა სახელმწიფოსათვის - არა მარტო პრესტიჟის თვალსაზრისით, არამედ მისი უსაფრთხოების, მდგრადობისა და განვითარების პერსპექტივისათვის“ (ი. არჩვაძე) .

აღნიშნულთან ერთად უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ქვეყანაში თვითმიზნად არ იქცევს დასაქმების მაჩვენებლის გაზრდა. მის ძირითადი დატვირთვა მოსახლეობის შემოსავლების ზრდასა და სოციალური ყოფის გაუმჯობესებაში უნდა აისახოს. დასაქმების ზრდა არ უნდა ხდებოდეს იაფი

მუშახელის ანუ იაფი შრომის ხარჯზე. როგორც ერთი, ისე მეორე ვერ ქმნის მაღალი ხარისხის და კონკურენტუნარიან პროდუქციას. შესაბამისად, უმუშევრობის შემცირებამ არა მარტო ციფრებში უნდა პოვოს ასახვა, არამედ მან პირდაპირი გავლენა უნდა მოახდინოს ქვეყნის ეკონომიკის დაჩქარებულ და მდგრად განვითარებაზე. აქცენტი უნდა გაკეთდეს თანამედროვე ტექნოლოგიების ათვისებასა და მეცნიერებაში არსებული სიახლეების მასშტაბურ დანერგვაზე. მხოლოდ შრომის მაღალი მწარმოებლურობით მიიღწევა სასურველი შედეგი და ეკონომიკურ სექტორში რეალური ინვესტიციების განხორციელება. თანამედროვე მიღწევების დანერგვა და ათვისება აქტიურად უნდა ხდებოდეს არა მარტო მრეწველობის, არამედ სოფლის მეურნეობის დარგებშიც. მით, უფრო, რომ საქართველო ძირითადად აგრარული ქვეყანაა, ამ სექტორშია დასაქმებული მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, შექმნილი მატერიალური დოვლათის წილი მშპ - ში კი უმნიშვნელოა.

კოვიდ პანდემიამ კიდევ უფრო მძაფრად და აშკარად წარმოაჩინა სამუშაო ძალასთან დაკავშირებული არა მარტო დასაქმების საკითხი, არამედ კვალიფიციური კადრების უკმარისობა და მოთხოვნადი პროფესიებისადმი „მოკრძალებული“ დამოკიდებულება. ფაქტია, რომ ქართული შრომის ბაზარი სწრაფ და ადეკვატურ რეაგირებას ვერ აკეთებს მოთხოვნადი პროფესიებისა და სპეციალობების მიმართ. ჯერ კიდევ „გადატვირთვა“ ვერ მოხდა სწავლების თანამედროვე უნარებისა და ჩვევების მქონე კვალიფიციური სამუშაო ძალის მოსამზადებლად. ჯერ კიდევ იზოლირებულად, ცალ-ცალკე მუშაობს უმაღლესი საგანმანათლებლო, პროფესიული სასწავლებლები და მათი რეალური დამსაქმებლები. სამწუხაროდ, ხშირად აცდენილია ორივე მხარის მიზნები და ამოცანები.

უმუშევრობის შემცირება პირველ რიგში მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებასთან უნდა ასოცირდებოდეს. სამწუხაროდ, დღეს დაუცველია არა მარტო ის, ვინც არ და ვერ მუშაობს, არამედ ისიც, ვინც დაბალ ანაზღაურებას იღებს. არსებული ინფლაციის პროცესმა, რომელიც გლობალურია და არც ისე ადვილი გადასაჭრელია, „შექამა“ საქართველოს ეკონომიკური ზრდა (ვლ.პაპავა,2021). იმდენად დაბალია ქვეყანაში საშუალო ხელფასის დონე, რომ შემოსავალი ელემენტარულ სატარიფო გადასახადებსაც ვერ წვდება, ღირსეულ ცხოვრებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. გამოსავალი არ არის სოციალურად დაუცველების დახმარება. გამოსავალი ღირსეულ ცხოვრებაში და ადამიანებისათვის დასაქმების, პროფესიების ათვისების, მომზადებისა და გადამზადების ხელმისაწვდომობაშია. სანამ ეს რეალური და შესაძლებელი არ გახდება, მანამ დასაქმება ყოველთვის იქნება უპირველესი პრობლემა საქართველოს მოსახლეობისათვის. პრობლემა, რომელიც მაგნიტივით იზიდავს თანმხლებ სოციალურ ყოფით პრობლემათა საკმაოდ ფართო ჩამონათვალს.

სიღარიბის დაძლევისა და სამუშაო ადგილების შექმნის მიზნით საქართველოს მთავრობის ინიციატივით დაწყებული „სოციალურად დაუცველების დასაქმების პროგრამა“, რომელიც მიმდინარე წლის გაზაფხულიდან შევიდა ძალაში და მიმართულია სოციალური შემწეობის მიმღები შრომისუნარიანი პირების დასაქმებაზე საზოგადოებრივი სამუშაო ადგილების შექმნით, საკმაოდ ბევრ კითხვას აჩენს. თუ რამდენად გამართული და გამართლებული იქნება ეს მექანიზმი, ძნელი სათქმელია. შემოთავაზებული სამუშაო ადგილები რეალურ და აქტიურ ეკონომიკურ სექტორს არ მოიცავს (ფაქტიურად, პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე, ეს არის შემწეობის და დახმარების თანხის გაზრდა. და თუ ამის საშუალება და რესურსი არსებობდა, შემწეობის გაზრდით მიგვეცა ეს თანხა). უფრო სწორი იქნებოდა რეალურ ეკონომიკურ სექტორში რეალური სამუშაო ადგილების შექმნაზე გვეფიქრა და ამ მიმართულებით გადაგვექრა პრობლემა.

სოციალური მომსახურების სააგენტოს 2022 წლის იანვრის თვის ოფიციალური ინფორმაციით საქართველოში საარსებო შემწეობას 648 176 ადამიანი იღებს (175 716 ოჯახი). ყველაზე ღარიბ რაიონებს შორისაა: მესტია - მოსახლეობის 71,5%, ამბროლაური - 51, 2%, ლენტეხი - 51,0%, ონი - 49, 5%, ქედა - 47, 9%, ხულო - 44, 0%, დმანისი - 41,3%, ზუგდიდი - 40, 9%, ხარაგაული - 39, 6%, შუახევი - 38, 4%, თეთრიწყარო - 37, 1% და ჭიათურა - 35, 4%.

სიღარიბე და სოციალური უთანასწორობა გაცილებით მაღალია სოფლად. სწორედ აქ უნდა თქვას სახელმწიფომ გადამწყვეტი სიტყვა და თავის უპირველეს მოვალეობად მიიჩნიოს სოფლად მცხოვრები ადამიანების გვერდით დგომა და მათი რეალური დახმარება. ღარიბი და შემწეობას მოკლებული ადამიანებისთვის არაფრის მომცემი არაა განზოგადებული მაჩვენებლების მიხედვით მათი ცხოვრების პირობების გაზომვა და დათვლა. პრობლემას ჭირდება სრულფასოვანი შესწავლა და სწორედ მორგებული კონკრეტული სოციალური მექანიზმების განხორციელება, საცხოვრებელი პირობებიდან დაწყებული საარსებო გარემოსა და შემოსავლების რეალური გაუმჯობესებით. ასევე გვინდა შევხვით მიწასთან დაკავშირებულ საკითხებს, მის მიზანმიმართულ და რაციონალურ გამოყენებას ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების თვალსაზრისით. საქართველოსთვის ამ საკითხს ოდითგანვე განსაკუთრებული როლი ჰქონდა მინიჭებული. ბოლო პერიოდში წარმოქმნილი პრობლემები კიდევ ერთხელ მეტყველებს იმაზე, რომ მიწასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტა უნდა მოხდეს არსებული, თუ მოსალოდნელი მოვლენების სრულფასოვანი შეფასების საფუძველზე.

დიდი მასშტაბის პროექტების განხორციელება უნდა მოხდეს დიდი სიფრთხილით, ქვეყნის ეროვნული ინტერესების უპირატესობით, მით უფრო, როცა ეს ეხება ისეთ ეროვნულ სიმდიდრეს, როგორცაა მიწა. „ქართული მენტალიტეტი ვერ ეგუება მიწის უცხოელზე გასხვისების საბაზრო პრინციპებს... ყველა ქვეყანა ინდივიდუალურად წყვეტს მიწის გასხვისებასთან დაკავშირებულ საკითხებს. ამჯერად, ვიდრე მიწის რესურსების მართვის საკითხები გადაწყვეტილიც არ გვაქვს, როცა მეზობელ სამ ქვეყანასთან სახელმწიფო საზღვრები დადგენილიც არ არის, უცხოელებზე მიწის გასხვისების საკითხი საერთოდ არ უნდა განიხილებოდეს“. სწორედ მიწა და სოფლად მცხოვრები ადამიანების მიმართ უპირველესი ყურადღება და რეალური დახმარებაა უმთავრესი მექანიზმი და პირობა საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებისათვის. ქვეყანას ესაჭიროება მრავალმხრივი, მიზანმიმართული და გრძელვადიან პერიოდზე გათვლილი სიღარიბის დამლევის სამთავრობო პროგრამა. სანამ საქართველოს მოსახლეობის საშუალოდ 21,3% სიღარიბეს ებრძვის (სოფლად 27, 5%) ქვეყანაში არსებულ წარმატებულ აქტიურ სამეურნეო საქმიანობაზე, ეკონომიკურ ზრდასა და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებაზე საუბარი უხერხულია.

წარმოუდგენელია ქვეყანამ მნიშვნელოვან ეკონომიკურ აღმავლობასა და გარდაქმნას მიაღწიოს გამოცდილი, პროფესიონალი და სწავლული მეცნიერების, ექსპერტებისა და სპეციალისტების ერთობლივი ძალისხმევით და არსებული სამეცნიერო პოტენციალის გამოყენების გარეშე. სინამდვილეში პროფესიონალთა სიტყვა მხოლოდ მასმედიის საშუალებებით ჩანს. სამწუხაროდ, რეალური საქმის გადაწყვეტისას მათი ცოდნა, გამოცდილება, მოსაზრება არავის არ აინტერესებს. ეს არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და უკან დამხვევი რეალობა, რომელიც სამწუხაროდ უკვე ათეული წლებია ეწირება საქართველოს პოლიტიკურ ნებას. ნებისმიერი ეკონომიკური რეფორმის გატარებას

და სერიოზულ გარდაქმნებს უმეტესად, საარჩევნო კამპანიებად ქცეული პროგრამები და გადაწყვეტილებები ენაცვლებიან. რეალობა კი გაცილებით უფრო მძიმე და მასშტაბურია, ადამიანებს რეალური დახმარება ჭირდებათ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბესაძე რ. (2020). გლობალიზაცია და პანდემიის ეკონომიკური პრობლემები, თბილისი, თსუ.
2. კაკულია მ. (2020). კორონომიკური კრიზისის გაკვეთილები საქართველოსთვის, ჟურნალი ეკონომიკა და ბიზნესი, ტ.12(# 2).
3. პაპავა ვლ. (2019). გამოსავალი ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის მშენებლობაა., „ბანკები და ფინანსები“, თბილისი, 17.10.
4. ჭითანავა ნ. (2017). ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი.
5. ჭითანავა ნ. (2020). განსაცდელმა გააზრებული ნაბიჯების გადადგმა უნდა შეგვადლებინოს, ივერიონი, საინფორმაციო ანალიტიკური სააგენტო, თბილისი 23.03.
6. პაპავა ვლ. (2021) რატომ „შეჭამა“ ინფლაციამ ეკონომიკური ზრდა, კვირის პალიტრა, 27 დეკემბერი - 2 იანვარი
7. არჩვაძე ი. (2021), რატომ არის უმუშევართა ქვეყანაში კვალიფიკაციური კადრების დეფიციტი, კვირის პალიტრა, 13 -19 დეკემბერი
8. ვირსალაძე ნ., ყიფიანი მ. (2022) დასაქმების ზრდა - ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების უპირობო გარანტი., აწსუ საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია ”შრომის ბაზრის ახალი გამოწვევები: COVID-19 პანდემიის კონტექსტი”.
9. <https://forbes.ge/blogs/saqarthvelo-humanuri-ganvitharebis-reitingshi-61-e-adgilzea/>
10. <http://geoeconomics.ge/?p=14513>